

ახალი თაობა



akhalitaoba.ge

დიდ ღიღოში 12 წლის
გოგონას გარდასვალის
ადგილი აღმოკაზმავს
განადგურებული დახვდათ



სასაპარტლომ
ბადრი ესეზუას 4 წლით
თავისუფლების
აღკვეთა მიუსაჯა

ხუთშაბათი, 6 აპრილი, 2023

№68 (9104)

ფასი: 80 თეთრი

ამერიკა მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან გურუსიძეს, ირაკლი შენგელიას და ვალერიან ცერცვაძეს სანქციებს უწესებს



გვ. 2

„სანქციები, რომელიც გამოცხადდა
4 კორუმპირებული პირის მიმართ,
გამოხატავს ამერიკის შეერთებულ
შტატების მტკიცე ერთგულებას
ებრძოლოს კორუფციას და
დაეხმაროს ქართველ ხალხს“




გვ. 2

პაატა
ზაქარეიშვილი:
„ქართული ოცნება“
ყველაზე
ეფექტურად რასაც
აკეთებს, თავის
თავს ანგრევს“

„ღღას ოპოზიცია აბსოლუტურად უუნაროა“

„გახარია
პასიურობს,
შეიძლება
ამოერიკველს
დაავიწყდეს“



გვ. 3

რამაზ საყვარელიძე: „ბევრი ოპოზიციონერი
პოლიტიკოსია ჩრდილში და პასიურ პოზიციაში,
რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს“

დათო ლორთქიფანიძე:
„7-9 მარტის
მოვლენები
ცუდი ფაქტი იყო,
მაგრამ დემოკრატიის
ჩარჩოებში
სრულად ეტევა“



გვ. 3

„სალომე ზურაბიშვილი თავს გვაგადლის“



გვ. 5

ლევან
რატინაძე
სასაპარტლო
ნაებო



გვ. 5

მეარსველებმა
დაპოზიტიურ
საწყობში მანქანის
ფსკერით შეაღწიეს
და მსხვილი თანხა
გაიჭაფეს



გვ. 6

„ღროში მოგზაურმა“ ასობით
ათასი ამერიკელის დაღუპვა
ინინასწარმეგვიწა



4 „უპინი
ბირთვულ
იარაღს ვერ
გამოიყენებს“

4 გორის
სკვერიდან
საქანალები
მოიპარეს

6 მოზარდმა კაღლაბი
პაპა-ბაბიის
აღმოგებულ
სახლიდან
გამოიყვანა

6 როდის
დაიწყება
უკრაინელთა
კონტრშეგვება?!



ამერიკა მიხილ ჩინალაქს, ლავან მურუსიძეს, ირაკლი შინაგულას და ვალერიან ცერცვაძეს სანქციებს უნესებს

აშშ მიხილ ჩინალაქს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შინაგულას და ვალერიან ცერცვაძეს სანქციებს უნესებს.

ქართველი მოსამართლეების სანქციების შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი განცხადებას ავრცელებს.

სახელმწიფო მდივანის განცხადების თანახმად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მიხილ ჩინალაქს, ლევან მურუსიძის, ირაკლი შინაგულას და ვალერიან ცერცვაძის საჯარო სანქცირებას ახდენს, ვინც აკრძალვის შესახებ 7031(c) ნების საფუძველზე, მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო.

როგორც განცხადებაში ბლინკენი აღნიშნავს, აღნიშნულმა პირებმა ბოროტად გამოიყენეს მათი თანამდებობა, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეებმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, რითაც ზიანი მიაყენეს სამართლის უზენაესობასა და საზოგადოების ნდობას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერას დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის გაძლიერების კუთხით და გააგრძელებს იმ პირთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, ვინც პირადი სარგებლის მიზნით, ბოროტად იყენებს საჯარო უფლებამოსილებას. ჩვენ ყველა იმ მოსამართლის გვერდით ვდგავართ, ვისაც აქვს გამბედაობა და კეთილსინდისიერება იმოქმედოს მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად.



პირებს, რომელთა სანქცირებაც განხორციელდა 2023 ფისკალური წლის დაფინანსების აქტის 7031(c) თავის საფუძველზე, რომელიც ეხება სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო ოპერაციებსა და მასთან დაკავშირებულ პროგრამებს, (Div. K, P.L. 117-328) („თავი 7031(c)“) და მათ უშუალო ოჯახის წევრებს, ეკრძალებათ ამერიკის შეერთებული შტატებში შესვლა, - წერია ენტონი ბლინკენის განცხადებაში, რომელსაც საქართველოში აშშ-ის საელჩო ავრცელებს.

სანქციები, რომელიც გამოცხადდა დღეს 4 კორუმპირებული პირის მიმართ, გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე ერთგულებას, ებრძოლოს კორუფციას და დაეხმაროს ქართველ ხალხს, მიაღწიოს წარმატებას დემოკრატიული საზოგადოების შენებაში, რაც მათ ასე ცხადად სურთ და იმსახურებენ, - ამის

შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგანამ განაცხადა.

ამასთან, როგორც ელჩმა განაცხადა, კორუფცია და მართლმსაჯულებაში ჩარევა აბრკოლებს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას.

კელი დეგანის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოსა და ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერას და სანქცირების გადამწყვეტილება მიღებულ იქნა სწორედ ამ მიზნით.

ყველა საქართველოს მოქალაქე იმსახურებს მართლმსაჯულებას, სამართლის უზენაესობას და უფლებას სამართლიან და დამოუკიდებელ სასამართლოზე, მათი ქონებრივი მდგომარეობის, ოჯახური თუ პოლიტიკური კავშირების მიუხედავად. აღნიშნული სანქციები ასახავს ამერიკისთვის კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელობას.

კორუფცია და მართლმსაჯულებაში ჩარევა აბრკოლებს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. ამერიკის შეერთებული შტატები აგრძელებს საქართველოსა და ქართველი ხალხის ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერას. სანქცირების გადამწყვეტილება მიღებულ იქნა სწორედ ამ მიზნით. სანქცირების გადამწყვეტილება ასევე გამოხატავს ჩვენს ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ყველა შრომისმოყვარე, ნიჭიერი, კეთილსინდისიერი და პროფესიონალი მოსამართლის მიმართ, რომელთაგან ბევრს მე უკვე შევხვდი.

მათ შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ განხორციელონ თავიანთი საქმიანობა და აღასრულონ მართლმსაჯულება ზენოლის, მუქარისა და ჩარევის გარეშე. წლების განმავლობაში ჩვენ მოვუწოდებდით საქართველოს ხელისუფლებას, განეხორციელებინა მნიშვნელოვანი რეფორმები სასამართლო სისტემაში. ჩვენ მივესალმებით იმ პროგრესს, რაც მიღწეულ იქნა წლების განმავლობაში, მათ შორის, ამერიკის მხარდაჭერით. როგორც ბევრი აღნიშნავს, მათ შორის ხელისუფლების წევრები, უფრო მეტი სამუშაო ჩასატარებელი, რათა საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდეთ ძლიერი მართლმსაჯულების სისტემა, რომელსაც ისინი იმსახურებენ. აღნიშნული სასამართლო რეფორმების განხორციელება შედის საქართველოს ინტერესებში და აუცილებელია საქართველოს ევრო-ატლანტიკური მომავლის მისაღწევად, რომლისკენაც ქართველები დიდი ხანა მისწრაფებიან. კორუფციასთან ბრძოლაში გამარჯვებისთვის სტაბილური, წარმატებული და ევრო-ატლანტიკური მომავლის მისაღწევად, რაც ქართველი ხალხის არჩევანია, საქართველოს სჭირდება ჭეშმარიტად მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა.

სანქციები, რომელიც გამოცხადდა დღეს 4 კორუმპირებული პირის მიმართ, გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცე ერთგულებას, ებრძოლოს კორუფციას და დაეხმაროს ქართველ ხალხს, მიაღწიოს წარმატებას დემოკრატიული საზოგადოების შენებაში, რაც მათ ასე ცხადად სურთ და იმსახურებენ, - განაცხადა კელი დეგანმა.

„დღეს ოპოზიციას აბსოლუტურად უუნაროა“

ნონა ცაბაძე

პაატა ზაქარეიშვილი: „ქართული ოცნება“ ყველაზე ეფექტურად რასაც აკეთებს, თავის თავს ანგრევს“

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, ექსპერტი კონსტიტუციოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

ბატონო პაატა, მმართველმა გუნდმა ახლა ახალი ნარატივი გაუშვა და აცხადებენ, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებას ხელს ოპოზიციის უშლისო. დადიან ვეროპრაზამენტის კორიდორებში და ითხოვენ, არ მისცეთ საქართველოს სტატუსი. რა ხდება, გადაბრალებას ცდილობს ოპოზიციისთვის ხელისუფლება თუ ოპოზიციაც მავნებლობს?

— ოპოზიციას რომც მავნებლობდეს, ის ვერაფერს ვერ განახორციელებს. ეს არის აბსოლუტურად სისულელე და უსინდისობა „ქართული ოცნებასთან“, როცა თავის ცოდვებს ოპოზიციას აბრალევენ. ოპოზიციას ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს ბრალში, თუ მათ ექნებოდათ გარკვეული კოალიციური რაოდენობა პარლამენტში, როცა შეუძლიათ დაბლოკონ რამე, მაგალითად, კანონპროექტი, ბიუჯეტი. ანუ იმდენი რაოდენობის იყოს, რომ შეეძლოს 12 პუნქტის დაბლოკვა, თუ „ქართული ოცნება“ მას შესაძლებლობს.

დღეს ოპოზიციას არის აბსოლუტურად უუნარო. პრაქტიკულად ისეთი, როგორც რუსეთის ოპოზიციას. როგორც რუსეთს, ისე საქართველოს ჰყავს ოპოზიციის, რომელსაც არაფერის გაკეთება არ შეუძლია. არავითარი ინსტიტუციონალიზაცია, სამართლებრივი ბერკეტები არ გააჩნია ოპოზიციას, გარდა პოლიტიკურისა. მხოლოდ პოლიტიკური განცხადებები, ქუჩაში გამოხვლა, სხვა არაფერი. ვილაყვამ რაღაც დანერგა ფეისბუქზე და ამის გამო ამბობენ, რომ ოპოზიციას ბლოკავს ამ სტატუსის მიღებას. ხელისუფლებას არ უნდა კანდიდატის სტატუსი და ექნებ მიზეზს, რომ დააბრალდოს სხვას. არაერთხელ მოთქვამს ეს თქვენთან ინტერვიუში. როგორც კი გვითხრეს, მოემზადეთ კანდიდატობის სტატუსისთვის, მაშინვე ვთქვი, რომ არ შესაძლებელია და დააბრალდებენ ვილაყვამ სხვას. ან ევროკავშირს, ან ოპოზიციას. ათ დღეზე მეტი ვიყავი ევროპაში, მათ შორის, ბრიუსელში.

როგორი განწყობაა იქ?

— არავინ საქართველოდან არ ლაპარაკობს, რომ ჩვენ არ გვინდა კანდიდატის სტატუსი. ყველაზე უფრო რადიკალური და აგრესიული ოპოზიციის წარმომადგენლების გვარებიც კი დამისახლეს, რომლებიც მოითხოვენ, მოგვეცით სტატუსი აუცილებლად. ვილაყვ ერთი-ორი ადამიანი რაღაცას წერს ფეისბუქზე, ეს არ არის ყველას პრობლემა. მთავარი პრობლემა არის ის, რომ „ქართული ოცნებას“ უნდა, რომ ამაში დააჯეროს თავისი ამომრჩეველი. პრობლემა საკუთარ ამომრჩეველთან აქვს. რაც მეტ ამომრჩეველს დაკარგავს, მით მეტი გაყალბება მოუწევთ. რაც უფრო მეტი გაყალბება მოუწევთ არჩევნებზე, მით თვალ-

შისაცემი იქნება და უფრო დიდია შანსი იმის, რომ ეს არ შეარჩინონ და არ აპატიონ.

ვისმინთ შეფასებებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი ამომრჩეველი დაკარგა.

— აბსოლუტურად გეთანხმებით. „ოცნებას“ ყველაზე მეტი ამომრჩეველი ჰყავდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს. მაშინაც გაყალბებული იყო არჩევნები, რაც იმას ნიშნავს, მაშინ არჩევნები წააგეს. ახლა მართლა ტოტალური გაყალბება მოუწევთ. თუ ასე მოიქცევიან, მათთვის საბედისწერო შეიძლება იყოს ეს არჩევნები. ძალიან ძვირად დაუფლდებით.

ბატონო პაატა, ვისმინთ შეფასებებს, რომ კანდიდატის სტატუსს, ხელისუფლება არა, მაგრამ ქართული ხალხი იმსახურებს და თუ ხელისუფლებამ რაიმე საშინელება არ ჩაიდინა, სტატუსს მოგვეცემო. რა შანსები გააქვს?

— შანსები გაიზარდა ნამდვილად. ცალსახად ხმა ოპოზიციის და გაძლიერდა ევროკავშირში იმ ადამიანების ძალა, ვინც ამბობს, რომ ჩვენ საქართველოს აუცილებლად უნდა მივცეთ კანდიდატის სტატუსი. ქართველ ხალხს უნდა მივცეთ. თუმცა „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ არ მოგვეცენ. ევროკავშირში ამბობენ, ქართველ ხალხს არ უნდა შევაქციოთ ზურგი. თუ მივეცით კანდიდატობის სტატუსი უკრაინას და მოლდოვას, არც ისინი არ აქმაყოფილებდნენ არანაირ სტანდარტებს, უნდა მივცეთ საქართველოსაც. მათ აქვთ ერთი მკაფიოდ გამოკვეთილი პოზიციის, რომ „ქართული ოცნება“ ძალიან პრორუსულია. ამიტომ არ უნდათ მათ ოჯახში სეიფივანს რომ რუსული ძალა. ჩემი განწყობა ასეთია, რომ ისინი მოგვეცემენ შანსებს არჩევნებამდე. ის ხალხი, ვინც მარტის აქციების დროს ქუჩაში გამოვიდა, აჩვენა, რომ უმრავლესობაში არიან.

ბატონო პაატა, ბოლო პერიოდში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის პოზიციას ბევრი იწონებს. ფერი იცვალა პრეზიდენტმა. თუმცა ოპოზიციას მოუწოდებს, მისი რომ იწამონ, აუცილებელია შეინარჩუნოს სააკაშვილი და გვარამია. რას იტყვით თქვენ?

— სააკაშვილი და გვარამია ცალკე თემებია. რა თქმა უნდა, საჭიროა ამ თემებზეც შეჩერება, მაგრამ შეჩერება შეიძლება და არა გაჩერება. ქართული აზროვნება არის მაქსიმალისტური. გვინდა იმაზე მეტი, ვიდრე შეგვიძლია მოვიპოვოთ. სალომე ზურაბიშვილი გახდა მკაფიოდ გამოკვეთილი; სიტუაციური მოკავშირე საქართველოსი. ის სწორ პოზიციებს აქვს და ამით ასუსტებს „ქართული ოცნების“ რუსულ პოლიტიკას. როცა ისეთი მოკავშირე გამოგინდა, როგორც არის პრეზიდენტი, შენ იმაზე მეტი გინდა, ვიდრე ის ამის გამკეთებელია. იმის მაგივრად, რომ აქო, დგახარ და ლაწილაკ. ეს აბსურდულია.

დღეს ზურაბიშვილს გასაკრიტიკებელი არაფერი არ ჭირს. ჯობია მეტი გააკეთოს, მაგრამ



რასაც აკეთებს, მოდით, ის დაუფლავთ. ეს უმადურობა და დაუნახაობა, გამანადგურებელი ქართული პოლიტიკისათვის. იმაზე მეტს სთხოვ, ვიდრე შეუძლია. არ უფასობს ამ ყველაფერს, ბრმა და ყრუ ხარ! ორჯერ მეტი გვინდა და ბოლოს სულ ისე ვრჩებით. ერთი კარგი ზღაპარი გვაქვს, „ერთი ქილა ერობ“. ასე კარგად ქართული ხასიათი ჩანდეს ზღაპარში, მე სხვა არ მინახავს. კომუნიკაციის ფიქრებში და ის ქილა ერობ დაკარგა. აი ასე იქცევა ოპოზიციას. მოდი, არ დაგვარგოთ ეს ერთი ქილა ერობ.

ბატონო პაატა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ აქციის ერთ-ერთი მონაწილე ლაზარე გრიგორიანის დააკავეს. ხელისუფლებამ ბოლო დღეებში ვისმინთ შეფასებებს, რომ მის ზურგს უკან კონკრეტული ძალები იდგნენ. გულისხმობენ ოპოზიციას. ვისმინთ შეფასებებს, რომ შესაძლოა ხელისუფლებამ გადატრიალების მცდელობის ბრალდებით ოპოზიციონერი ლიდერები დააპატიმროს. რამდენად არის „ოცნება“ ამაზე ნამსვლელი?

— „ქართული ოცნება“ იმდენად რეგენია, როგორც პოლიტიკური ძალა, რომ ამაზე ნამსვლელი არის. დღეს „ქართული ოცნება“ ყველაზე ეფექტურად რასაც აკეთებს, თავის თავს ანგრევს. თუმცა ოპოზიციას იმდენად სუსტი და არ არსებულა, რომ ის მაინც ძლიერი ჩანს. რაც შეეხება ლაზარეს, „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან სამართლებრივი არაა, არაა დამტკიცებული, მან მართლა ისროლა თუ არა მოლოტოვის კოქტეილი, ან მანქანა დანვა. თუნდაც ეს თავად აღიაროს, შესაძლოა, ის თავის თავზე იღებდეს და დაანაშაულს. სასამართლო ვიდრე არ დაამტკიცებს, შეუძლებელია ადამიანს რაღაც დააბრალდოს. უცებ გამოდის და პრემიერ-მინისტრი აბრალდება. ის არღვევს უდანაშაულობის პრეზუმციას. ვინმეს რომ ჭკუა ყოფნიდეს, მას საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა უჩივლოს. კონსტიტუციას არღვევს ეს ადამიანი, როგორც პრემიერ-მინისტრი.

ყველა ქართველმა ხომ კარგად ვიცით 9

აპრილის ღამის ისტორია. გაიხსენეთ ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ჯოხით საბჭოთა ტანკს ურტყამს. რა იყო ეს? ეს ხომ რეაქცია? ეს გააკეთა მხოლოდ 9 აპრილის ღამეს, როცა მოხდა საშინელი უსამართლობა და მშვიდობიანი მიტინგი დაარბია საბჭოთა არმიამ. რუსი ჯარისკაცი ბოროტებად და ქართველი პოლიციელი, რომელიც მიტინგს არბევს, ის არ არის?

ეს იყო ლაზარეს და დანარჩენი ახალგაზრდების რეაქცია დარბევზე?

— რა თქმა უნდა, ეს იყო რეაქცია და ის იყო სამართლიანი. იმიტომ, რომ პოლიციამ დარბევა დაიწყო აბსოლუტურად უსაფუძვლად. ამიტომ ის, რაც მოხდა შემდეგ, ეს არის პასუხი უსამართლო, უსაფუძვლო და უსამართლოდ დარბევისა, მშვიდობიანი აქციისა. ამიტომ სასამართლო უნდა ჩაატარდეს არა ლაზარე გრიგორიანისის წინააღმდეგ, არამედ პოლიციის წინააღმდეგ. ვინც ბრძანება გასცა ამ უკანონო დარბევაზე, აი ის უნდა იქნას დაკავებული. ის არის მთავარი დამნაშავე. ამ კონტექსტში უნდა განიხილონ ლაზარეს საქმეც. შეიძლება მისი რეაქცია არ იყო ადეკვატური, მაგრამ ამაზე უნდა დაჯარიმდეს და ამის ფულს ჩვენ შევეგროვებთ. ჩემთვის მისი რეაქცია იყო ადეკვატური იმ გაგებით, რომ მან უპასუხა უსამართლობას. 9 აპრილს რომ რუსმა ჯარისკაცებმა დადიანების სოცია დანიყეს, ქართველებმა რა ქნეს? სხვათა შორის, ჩემი მძაც მონაწილეობდა ამაში. მან და კიდევ რამდენიმე რუს ჯარისკაცებს წაართვეს ხელკეტები და იქით სცემეს. ამისთვის უნდა დაეჭირა ვინმეს ისინი?! რასაც დღეს კომახიძე ლაპარაკობს, ამას ლაპარაკობდა როდინოვიც. ქართველები დაგვეხსნენ თავსო. მათი ბრალი იყო. ახლა კომახიძე ჩადგა ამ პოზიციას. ლაზარე ამ სიტუაციაში მართალია.

ბატონო პაატა, საკმარის ბევრი დანაშაულები 9 აპრილზე და ოპოზიციის მიერ დაანონსებულ 9 აპრილის აქციაზე რას იტყვით? ნაციონალური მოძრაობა გვემავს ამ დღეს აქციას. რამდენად ხალხმრავალ აქციას ელოდებით?

— არავითარი სხვა დატვირთვა არ უნდა ჰქონდეს 9 აპრილს, გარდა ერთიანობის დღისა. ამიტომ ჩემთვის მიუღებელია მსგავსი საპროტესტო აქციების დაანონსება. დააანონსონ 10 აპრილს, 11 აპრილს, 365 დღეა წელიწადში! რატომ მოაჯდნენ ამ ლირსულ თარიღს?! ჩვენთვის საამაყო და ამავედროულად ტრაგიკული დღეა. ვილაყვ პოლიტიკური პარტია, თან უდღეური, ნაციონალური მოძრაობის სახით, აჯდება ამ დღეს და იყენებს თავის სასარგებლოდ! ეს ყოველად დაუშვებელია. მე გგონია, რომ საზოგადოებამ უარი უნდა უთხრას მას, სწორედ ამის გამო, რომ არასწორად გამოიყენა თარიღი. ეს არის ძალიან პრიმიტიული, სასაცილო და უდღეური გათვლა, მოდი, სხვის მიერ შექმნილ თარიღს გამოვიყენებ. 1989 წლის 9 აპრილს ნაციონალური საერთოდ არ არსებობდა.

ახალი ამბები
 ISSN 1987-9385
 9 771987 938006
 გაკოილი
 1993 წლის
 23 იანვარი

მათავარი რედაქტორი - სოლო გვიგინაშვილი
 რედაქტორი - ლალი ახლიანიშვილი
 ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
 ჯარჯანიძე სამსახური - ჯორა ბაღვაძე დირექტორი - ზურაბ ბერიძე
 სარეკლამო სამსახური - 599-532-690 გაყიდვების სამსახური - მერაბ ლევინაშვილი
 ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალები, სურათები და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი ჩაბეჭდვა აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალები სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.


„გახარია პასიურობს, შეიძლება ამომრჩეველს დააინფორმოს“

ნათია ხურცილავა

რამაზ საყვარელიძე: „ბევრი ოპოზიციონერი პოლიტიკოსია ჩრდილში და პასიურ პოზიციაში, რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს“

პოლიტოლოგი, პროფესორი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

რი მოძრაობა დაამარცხოს და ხელისუფლებაში მოვიდეს. თითქოს ქართულ პოლიტიკაში მსგავსი რამ კანონზომიერია. ასე ხდება ხოლმე. არ



– ოპოზიცია შეძლებს გაერთიანებას?
– რთული სათქმელია. ალბათ უფრო იქნება იმ ტიპის გაერთიანებები, რომელიც უკვე არის, ვგულისხმობ ჯაფარიძე-ხომბარია-ვაშაძის ერთობას. რაც შეეხება უფრო მსხვილ გაერთიანებას, ეს ძალიან მეჭვჭვება. მით უფრო იმ ფონზე, რაც ნაციონალურ მოძრაობაში ხდება. მთლად მარტივ პროცესთან არ უნდა გვეკონდეს საქმე.

„საკაშვილს ქარიზმა ჰქონდა. შევარდნაძეს საერთაშორისო ურთიერთობებში გამოცდილება. ივანიშვილს კი ხალხმა ხმა მისცა, როგორც ქველმოქმედსა და როგორც ნაციონალური მოძრაობის დამმარცხებელს“

გამოვირცხავ, მსგავსი რამ ამჯერადაც მოხდეს. თუმცა, ვიმეორებ, შეიძლება ასეთი შიდა გადაჯგუფება ოპოზიციურ ფლანგზეც მოხდეს. – გახარია ერთ-ერთი ასეთი მაგალითია. თუმცა, მოლოდინის მიუხედავად, რომ ის უფრო აქტიური იქნებოდა, ასე არ მოხდა. რატომ? – გახარია სერიოზულად დააგვიანა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სერიოზულად არ უყურებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება რჩება გარდა. ამდენი პოლიტიკური ამბავი ხდება ქვეყანაში და ის ამას უბრალოდ არ იმჩნევს. ამ დროს ამომრჩეველი ასეთ პოლიტიკოსებს ივიწყებს. გახარია კი არა, ნათელაშვილი, რომელიც ლამის მთელი ცხოვრება ოპო-

ზიციაშია, თავისი პასიურობის გამო, შეიძლება ამომრჩეველმა დაივიწყოს. პოლიტიკოსი მუდმივად აქტიუალური უნდა იყოს. ის მუდმივად უნდა იყოს ამომრჩეველის თვალსაწიერში. თორემ ამომრჩეველი ძალიან მალე ივიწყებს პასიურ და არააქტიურ პოლიტიკოსებს. გახარია კი არა, ბევრი ოპოზიციონერი პოლიტიკოსია ჩრდილში და პასიურ პოზიციაში, რაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირს იმ ფონზე, როდესაც წინ მართლაც გადამწყვეტი არჩევნებია.

– იქნებ შემოდგომას ელოდებიან, რომ შემოდგომიდან გააქტიურდნენ?
– შემოდგომაც მალე დადგება, მაგრამ სერიოზული განაცხადი უნდა გააკეთონ, მხოლოდ შემოდგომა ვერ უშველით. თუნდაც გახარია რამე ისეთი სერიოზული განაცხადი უნდა გააკეთოს ან რაიმე ისეთი უნდა შესთავაზოს ამომრჩეველს, რომ ხალხმა საერთოდ დაივიწყოს მისი პასიურობა და კიდევ ბევრი რამ. დრო ნამდვილად აქვს, მაგრამ ვერ გეტყვი, რამდენად შეძლებს.

– ამ პროცესს კეზერაშვილის პოლიტიკური გააქტიურება ხელს შეუშლის თუ პირიქით?
– კეზერაშვილიც და მერაბიშვილიც ამ პროცესისთვის ხელის შეშლულ ფაქტორებად ჩანან დღემდე.

– მთლიანად ოპოზიციისთვის თუ ნაციონალისტებისთვის?
– ორივე მიმართულებით. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, მისი ამომრჩეველი მიხეილ სააკაშვილს აძლევდა მხარს და არა კეზერაშვილს ან მერაბიშვილს. ნაციონალისტების ერთგულ ამომრჩეველს სააკაშვილი, მერაბიშვილი და კეზერაშვილი ერთ დონეზე არასდროს არ დაუყენებია არა მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილი არის ქარიზმატული ლიდერი, სხვა ბევრი მიზეზის გამოც.

– მერაბიშვილს, კეზერაშვილს აქვთ შანსი, რომ ლიდერებად იქცნენ?
– არა, მათ არც ამის ქარიზმა აქვთ და არც სხვა რამ, რაც არის საჭირო ამომრჩეველის მისამხრობად, გასაერთიანებლად. სააკაშვილს ქარიზმა ჰქონდა. შევარდნაძეს საერთაშორისო ურთიერთობებში გამოცდილება. ივანიშვილს კი ხალხმა ხმა მისცა, როგორც ქველმოქმედსა და როგორც ნაციონალური მოძრაობის დამმარცხებელს. არ ვიცი, რომელი ერთი აქვს ან კეზერაშვილს, ან მერაბიშვილს.

„სალომე ზურაბიშვილი თავს გვაგაძღვრს“

დათო ლორთქიფანიძე: „7-9 მარტის მოვლენები ცუდი ფაქტი იყო, მაგრამ დემოკრატიის ჩარჩოებში სრულად ეტევა“

გულიკო ბალაძე „ახალი თაობის“ კითხვებს მე-10 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.



ვექტორზე გადასვლას ხდებდნენ ბრალად. ეს როგორ უნდა მომხდარიყო?

– მე, როგორც პოლიტიკოსი, ჩემი სუბიექტური ხედვები მაქვს. ჩემს აზრს ვაძღვრებ. პოლიტიკურ გემოვნებაზე არ ვდავობ. ამა თუ იმ პირმა და პოლიტიკურმა ძალამ ისე ჩათვალა, როგორც უნდა. თქვენ თვითონ ნახავთ, წლის ბოლოსთვის საქართველოს საკითხის განხილვა იქნება და ჩვენ ვეროკავშირის ნევრობის კანდიდატის სტატუსს მოგვანიჭებენ. ამაში დარწმუნებული ვარ.

– ზოგიერთები ამბობენ, საქართველოს პროდასავლური კურსის შეცვლის მცდელობა იყო.

– საქართველოს კურსი ვაცხადებულა. კურსი ოფიციალურად, კონსტიტუციით, 78-ე მუხლშია ჩანერილი. არა მგონია, პროდასავლურ კურსს საშიშროება ემუქრებოდეს.

– გასაოცარია, მაგრამ გარკვეული პირები „ოცნებას“ სწორედ 78-ე მუხლის დარღვევაში აიდანაშაულებენ.

– როგორც იტყვიან, ენას ძვალი არ აქვს. რაც უნდათ, იმას ლაპარაკობენ. საქართველო ვეროპული გზას ადგას. აქციების შემდეგ კიდევ უფრო ვეროპული გავხდით, რადგან ადამიანები არაფერში შეზღუდულები არ არიან, არც აზრის გამოხატვაში, არც აქციის მოწყობაში.

თუ პოლიციელს შეურაცხყოფას მიაყენებ, კანონით გათვალისწინებული ზომების პირობებს არ დაემორჩილები და თუ პოლიცია, სახელმწიფო ამაზე ზომებს მიიღებს, სწორედ ეს არის ვეროპული. ვფიქრობ, ამ აქციებით საქართველო უფრო მეტად ვეროპული გამოინდა, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა.

– 31 მარტს პრეზიდენტი პარლამენტში წლიური ანგარიშით წარდგა, მან „ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი ორ ეტაპად გაყო. პირველი ეტაპი იყო ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლამდე, ხოლო მეორე – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდგომი პერიოდი. პრეზიდენტის თქმით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, ვეროპული ვექტორი შეიცვალა. ბიძინა ივანიშვილამდე ვეროპული ვექტორი იყო, ხოლო იმის შემდეგ კი, ვეროპული ვექტორი იყო. სალომე ზურაბიშვილის ასეთ განცხადებას რას მიაწერთ?

– პრეზიდენტის ასეთ განცხადებას მივანერ იმას, რომ სალომე ზურაბიშვილი ამ შემთხვევაში თავის ვეროპულობას უსვამს ხაზს. რადგან პოლიტიკოსი ვარ, სულ სხვანაირად ვხედავ მოვლენებს. კარგად თუ დავეფიქრებო, მიხვდებით, რას გულისხმობს სალომე ზურაბიშვილი.

– რას გულისხმობს?

– სალომე ამბობს, რომ თვითონ ვეროპული ძალაა. ამით ამბობს, ბიძინამ მე რომ ამირჩია, მაშინ სწორ გზაზე იყო. ხომ იცით, ეს ქალბატონი ბიძინას რეკომენდირებული რომ არის.

ჩვენ კანონის ფარგლებში რა არ გავაკეთებთ. მაგალითად, მე კანონის ფარგლებს არ გავცილებივარ, მაგრამ დღესა და ღამეს ვათენებდი იმისათვის, რომ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტი გამხდარიყო.

ამ განცხადებით, სალომე ხაზს უსვამს: მაშინ, როცა ბიძინამ მე ამირჩია, სწორ პოზიციაზე იყო. ბიძინა რომ წავიდა, ვექტორი მერე შეიცვალა, ანუ თავის თავს გვაგაძღვრს, რომ თვითონ ვეროპულია.

აი, ეს არის, თორემ დანარჩენს – ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით მის შეფასებებს, არანაირი საფუძველი არ აქვს. მე ამას ასე ვუყურებ – სალომე ცდილობს, თავისი თავი წარმოაჩინოს, როგორც ბიძინა ივანიშვილის ლირსული არჩევანი.

თითქოს ბიძინა თავისი მენტალობით მაშინ ვეროპულ გზაზე იყო, სალომე რომ შემოგვთავაზა, სალომე რომ ამირჩია, მერე კი შეიცვალა. რაღაც არასერიოზული მიდგომაა. სალომეს ზრახვები მოკლე დროში კიდევ უფრო გამოინდება. დარწმუნებული ვარ, სალომეს პოლიტიკური ამბიციები აქვს.

– ოპოზიციამ სალომე ზურაბიშვილის გამოსვლა თავის მხარდაჭერად აღიქვა. 7-8 მარტის აქციის მონაწილეებს ამერიკიდან მოუწოდებ, თქვენს გვერდით მიგვლეთო, ანუ რა ამბიციები აქვს, ოპოზიციის მხარდაჭერის მოპოვება და პრეზიდენტობა უნდა?

– სალომეს უნდა, მინიმუმ, „ოცნების“ გარეთა სამყაროს ლიდერი გახდეს. შემდეგ იქ, კიდევ რა გამოინდება... პოლიტიკაში დარჩენა რომ უნდა, ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, თუ პოლიტიკაში დარჩენა არ გამოუვა, საქართველოში საპრეზიდენტო ვადას რომ დაასრულებს და საქართველოდან წასვლა მოუწყვს, ესაა ვლეთში იქნება თუ ოკეანის გაღმა (მისი ერთი შეილი ვეროპაში ცხოვრობს, მეორე ამერიკაში). მოკლედ, წასასვლელი აქვს, სადაც წავა, მას შედარებით იმიჯი ჰქონდეს. დასავლური ლიდერულეებისთვის მებრძოლი ქალბატონის იმიჯი. სალომე ზურაბიშვილს ეს უნდა, მეტი არაფერი.

სალომეს ზურაბიშვილს უკან არანაირი პოლიტიკური მონაწილეობა არ არის. ის არის ერთი ქალბატონი, რომელსაც საპრეზიდენტო მანტია „ქართულმა ოცნებამ“ მოასხა.

– „ოცნებასთან“ დაპირისპირების გარეშე, პოლიტიკაში ვერ დარჩებოდა? ნუთუ, „ოცნება“ მისთვის ისეთი მიუღებელი იყო, რომ გაგრძელება მე-4 კვერტზე

– ბატონო დათო, არც ერთი ხელისუფლებისთვის არ უძახებიათ პრორუსული ხარო, როგორც ბოლო დროს „ოცნების“ ხელისუფლებას 7-8 მარტის მოვლენების შემდეგ. თქვენ რას მიაწერთ ასეთ შეფასებას?

– 7-9 მარტის მოვლენები ცუდი ფაქტი იყო, მაგრამ დემოკრატიის ჩარჩოებში სრულად ეტევა. კონსტიტუციით, მოსახლეობას უფლება აქვს, ხელისუფლების ესა თუ ის პოზიცია გააპროტესტოს.

ხელისუფლება კი ვალდებულია, ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგი დაიცვას. ამიტომ, რაც მოხდა, სასიამოვნო არ იყო, მაგრამ რაც იყო, იყო.

„რუსული“, „რუსულის“ ძახილი ოპოზიციური ძალების წამოწყებული ნარატივია, რომლებსაც მხარა აუბებს ნაციონალიზმის განაყოფი და მათგან არასოდეს დაშორებულმა მცირერიცხოვანმა პოლიტიკურმა პარტიებმა.

მათ მოახერხეს, მათი კონტროლის ქვეშ არსებული ტელევიზიების საშუალებით, საზოგადოებაში ცრუ მოლოდინებს შექმნა და საზოგადოების ძალიან დიდი გაღიზიანება იმ ნარატივით, თითქოს ხელისუფლებამ რუსული კანონი მიიღო, რითაც ამით საქართველო ვეროპულ მიმართულებაზე უარს ამბობდა.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ ანალოგიური კანონი ფუნქციონირებს აშშ-ში, უნგრეთში, ავსტრალიაში, კანადაში.

– ამბობენ, რომ უნგრეთს ვეროსასამართლომ ეს კანონი დაუწუნა.

– შესწორებები შეიტანეს და, გარკვეულწილად, მისი ცვლილება განხორციელდა. ჩვენთან საზოგადოება აბსოლუტურად შეეცდომაში შეიყვანეს, თითქოს კანონი უკვე მიიღეს. სინამდვილეში კანონი მიღებული არ იყო. მხოლოდ და მხოლოდ პირველი მოსმენით პრინციპებზე შეთანხმდნენ.

აპელირებდნენ, კანონი მიიღესო. კანონის მიღებას სამი მოსმენა სჭირდება. წინასწარი დათქმა იყო, რომ პირველი მოსმენის შემდეგ, პროექტი ვენეციის კომისიაში გაიგზავნებოდა, საიდანაც დასკვნის ჩამოსვლას, მინიმუმ, სამი თვე დასჭირდებოდა.

მარტივად სამი თვე ზაფხულია. ზაფხულში საპარლამენტო არდადეგების პერიოდი. ფაქტობრივად, შემოდგომამდე აღნიშნულ

ლი პროექტი კანონად ვერანაირად ვერ იქცეოდა და ყველა ლაღუსი გამოჩნდებოდა.

– ამ კანონპროექტის გამო, „ოცნებას“ ლამის მთელი მსოფლიო გადაუდგა. განცხადებები კეთდებოდა, რომ ასეთი კანონი შეუთავსებელი იყო ვეროკავშირისა და ამერიკისთვის, ანუ ჩვენს პარტნიორ ქვეყნებისთვის.

– გასაგებია, მაგრამ ქართული ოპოზიცია ასერხებს, მათი პოზიტივის მხარდამჭერი პოლიტიკოსების განცხადებების შეფუთვას მსოფლიო პოლიტიკური ლიდერების საბურველქვეშ. აბა, მითხარო, რომელიმე სახელმწიფოს ლიდერისაგან იყო შენიშვნა.

– ვეროკავშირისა და ამერიკის ელჩებმა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერმა გააკეთეს განცხადებები.

– ეს არ არის სახელმწიფოების ლიდერების პოზიცია. ვეროპარლამენტარების ნაწილი ნაციონალიზმს და მათ განაყოფებს ლობირებს და მათ სასარგებლო განცხადებებს აკეთებს. რეალობა ეს არის, მაგრამ ახლა თვითონ ვეროპარლამენტში აპირებს ანალოგიური კანონის ინიცირებას.

თუ არ ვცდები, ამაზე უკვე მსჯელობენ. ამ კანონით უნდა გამოჩნდეს, ამა თუ იმ ორგანიზაციის დამფინანსებელი ვინ არის, ეს ღია და გამჭვირვალე რომ იყოს. რეალურად, აღნიშნული კანონპროექტით, მხოლოდ რეესტრი ინარჩუნებოდა და წლის ბოლოს ხარჯების დეკლარირება უნდა მომხდარიყო, რა რაში დაიხარჯა. სხვა რამ ამ კანონპროექტში არ ყოფილა.

ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას ეს კანონპროექტი თვალთ არ უნახავს და არ წაუკითხავს. ისინი არწაკითხულ და არმიღებულ კანონპროექტს გმობდნენ. გამახსენდა, კომუნისტების დროს, ცეკას დადგენილებები წაკითხული რომ არ ჰქონდათ და პარტიის რაიკომების ბიუროებზე მხარს მაინც უჭერდნენ. ახლაც დაახლოებით ასეთი რამ მოხდა.

– ასე იყო თუ ისე, კანონპროექტი რუსულ კანონად, ხოლო მისი პირველი მოსმენით მიღება, დასავლური ვექტორის ცვლილებად მოინათლა, ანუ ხელისუფლებას პრორუსულ



„პუტინი ბირთვულ იარაღს ვერ გამოიყენებს“

მარიამ მჭედლიშვილი

რა უთანხმოება გაჩნდა აგრესორ რუსეთსა და ჩინეთს შორის?

პოლიტოლოგი ანდრეი პიონტოვსკი ყურადღებას ამახვილებს ამერიკაში მომხდარ კარდინალურ ძვრებზე, რომელიც მოქმედებს სიტუაციაზე მსოფლიოში. კერძოდ, უკრაინის სასარგებლოდ პოზიცია შეიცვალეს იმ რესპუბლიკელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც წინა თ მიიჩნევდნენ, რომ ომი უკრაინაში რუსეთისა და უკრაინის საქმეა და აშშ ამაში არ უნდა ერეოდეს. ამჟამად უკრაინისადმი დახმარების მონინალმდებელ ფაქტობრივად მართო ტრამპი რჩება. აშშ-ში მცხოვრები ანდრეი პიონტოვსკი უკრაინულ მედიას ესაუბრა.



გობრები ბაიდენის ადმინისტრაციიდან. ბლინკენი და ოსტინი განუზარტავენ ამერიკულ პოლიტიკოსს, რომ საჭიროა უკრაინისათვის დახმარება, რათა მან გაანადგუროს რუსეთის არმია და გააჩეროს ბოროტების იმპერია.

პუტინი სი ძინპინის ვიზიტის შემდეგ ჩინეთის სრული ვასალი გახდა. ბოროტების იმპერიის შექმნა ძირშივე უნდა ალიკვეთოს.

– ბელარუსში ბირთვული იარაღის განთავსებაზე განცხადება პუტინმა გააკეთა სის მოსკოვში ვიზიტიდან 4 დღის შემდეგ. იყო აგრეთვე რუსეთისა და ჩინეთის ლიდერების ერთობლივი განცხადება ბირთვული იარაღის გავრცელების დაუშვებლობაზე. რა იყო ეს?

რა შეცდომა დაუშვა დასავლეთმა საქართველოს მიმართ?

– იმ დოკუმენტში წერია, რომ ისინი წინააღმდეგი არიან ბირთვული სახელმწიფოების მხრიდან ბირთვული იარაღის განლაგებაზე სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე. რუსული პროპაგანდა ამტკიცებს, ჩვენ გავრცელებულს შესახებ ხელშეკრულებას არ ვარდევით. რუსეთი არ ავრცელებს, რუსეთმა უნდა განაღდოსო. შემდეგ გამოვიდა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩინეთი სხვა სახელ-

მწიფოების ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განლაგების წინააღმდეგია.

ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ პუტინმა საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა. როგორც ჩანს, ის ვერ აცნობიერებს, რას წერს, რას აწერს ხელს და რას აკეთებს. მან ხელი მოაწერა (სი ძინპინთან შეხვედრისას) 14 უზარმაზარ დეკლარაციას ევროპული პოზიციების დათმობაზე შორეულ აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ციმბირში. ხდება რუსეთის ტერიტორიის შთანთქმის ლეგიტიმაცია. ამით დაკავებულია ჩინეთი.

პუტინი 2008 წლიდან წარმატებით აშინებდა დასავლეთს. რატომ არ მისცეს მაშინ საქართველოსა და უკრაინას ნატოში განევრინების პროგრამა? არ უნდოდათ რუსეთის პროვოცირება. უფროსოდნენ რუსეთს, ბირთვული იარაღი არ გამოიყენოსო. დღეს ეს ყველას მოზერდა. პუტინი ჯერ კიდევ ოქტომბერში გააფრთხილეს, რა მოუფა, თუ ბირთვული იარაღი გამოიყენებს. აუხსნეს, რომ მას მოკლავდნენ. ახლა პუტინი ბირთვული იარაღს ახსენებს ამერიკელების დასაშინებლად. პუტინი ბირთვული იარაღს არ გამოიყენებს. ის არის ასაკოვანი, ჭკუაზე გადასული, მხდელი კაცი, რომელიც კანკალებს საკუთარ ჯანმრთელობაზე. დასავლეთში მისი ალარავის უშინია.

– პუტინის ამ მოქმედებებმა, დარწმუნებული ვარ, ჩინეთი გააბრაზა.

– ეს უნდა გვახარებდეს. სი მას არანაირ იარაღს არ მისცემს. ყველაფერი გიორკვევა გადამწყვეტი შტურკინების დროს. არ ვიცი, ამერიკაში იქნება ეს თუ მაისში. სიმ გააკეთა პაუზა, რათა ენახა, რისი უნარი აქვს მის ახალ ვასალს.

ანდრეი პიონტოვსკი:
– მსოფლიო უკრაინის გადამწყვეტი შედეგის მოლოდინშია. ძალიან სერიოზულად შეიცვალა შიდაპოლიტიკური ატმოსფერო აშშ-ში. ტრამპი ყოველდღიურად კიცხავს ბაიდენს იმისათვის, რომ აშშ უკრაინას ეხმარება. ის ბაიდენს აბრალებს, რომ ამერიკას მესამე მსოფლიო ომში ითრევს. ტრამპი ამბობს, რომ ის მოელაპარაკებოდა პუტინს უკრაინის იმ ოლქების რუსეთისთვის გადაცემაზე, სადაც რუსულად ლაპარაკობენ. ამით ტრამპი საკუთარი თავის სრულ მარგინალიზაციას ახდენს.

რესპუბლიკურ პარტიაში მკვეთრი ცვლილებები მოხდა. ჩვენ ტრამპის ბოძვა არ გვაღელვებდა. გვაშფოთებდა ძირითადი კანდიდატის, ფლორიდის გუბერნატორის, დესანტისის პოზიცია. ორიოდე კვირის წინ იგი უფრო პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელი შენიშვნებით გამოდიოდა. იგი აღნიშნავდა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ამერიკიდან შორს არსებული ქვეყნების „ტერიტორიული დავაა“, რომ

ამერიკის მთავარი მტერი ჩინეთია და ამაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. სწორედ ეს პოლიტიკოსი მთლიანად გადასხვაფერდა. საზოგადოების, რესპუბლიკური ისტებლიშმენტის დამოკიდებულება იმდენად შეცვლილია, რომ ფლორიდის გუბერნატორი ყველას არნაშუენებს, ჩემი ნათქვამი არასწორად გაიგეს, ეს უსერიოზულესი და უმნიშვნელოვანესი (ომი უკრაინაში) კონფლიქტია. თავისი ახალი პოზიციის დასამტკიცებლად ის აღწერს, თუ როგორი საშეხდრო დამნაშავეა პუტინი. დესანტისი ტრამპს მოუგებს, როგორც უკრაინის დამცველი.

ვილდაცას მოეჩვენება, რომ ეს ქვეყნის შიდა პოლიტიკური პრობლემაა. რეალურად, ეს არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. უკრაინის მიმართ მხარდაჭერის მონინალმდებელების ხმა მთლიანად გაქრა. ტრამპი თავისი ყოველი გამოსვლით უფრო მეტად წარმოაჩენს თავს იდიოტად.

ამ სიტუაციით სარგებლობენ ჩვენი მე-

რუსეთში 20 წლამდე გოგონა თავის მოკვლა სხადა

20 წლამდე გოგონა სუიციდი სცადა. ინფორმაციას „ინფო რუსთავი“ ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევა რუსთავში, სანაპიროს ქუჩაზე, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში მოხდა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ახალგაზრდა გოგონა მე-3 სართულის ფანჯრიდან გადმოხტომას ცდილობდა, რის მიზეზადც პერსონალური პრობლემები დასახელდა. ადგილზე მყოფი პირების თქმით, გოგონამ გამოცდაზე დაბალი შეფასება მიიღო, რაც ძალიან განიცადა.

ტერიტორიაზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციის, სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისა და სამაშველო სამსახურის ეკიპაჟები. ამ დროისთვის ახალგაზრდა გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ბორჯომში, ქაჩაში ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა

ბორჯომში 5 აპრილს ქუჩაში ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა.

36 წლამდე მამაკაცი „ჯეო პოსპიტალსში“ გადაიყვანეს, როგორც მორიგე ექიმი ამბობს, კაცი უკვე გარდაცვლილი შეიყვანეს სამედიცინო ცენტრში. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვალების სავარაუდო მიზეზად გულის შეტევა სახელდება.

გორის სკვერიდან საქანელაბი მოიპარეს

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, ბარნოვის ქუჩაზე, მტკვრის სანაპიროზე არსებულ დასასვენებელ სივრცეში უცნობმა პირებმა სკამები დაზიანეს, ხოლო ჭაღის დასახლებაში არსებულ სკვერში საქანელები ჩამოხსნეს.

– ბარნოვის ქუჩაზე, მტკვრის სანაპიროზე არსებულ დასასვენებელ სივრცეში უცნობმა პირებმა სკამები დაზიანეს. ჩამოხსნილი საქანელები ჭაღის დასახლებაში არსებულ სკვერშიც. გორის მუნიციპალიტეტის მერია კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოვიჩინოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და გაუფრთხილდეთ გარემოს. სამუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა. ქალაქის მასშტაბით არაერთხელ დაფიქსირდა ატრაქციონების, მწვანე ნარგავების, სკამების, ლამპიონებისა და სხვა ინვესტიციის დაზიანების ფაქტი, – ნათქვამია ინფორმაციაში.



თბილისის აეროპორტსა და სარეზიდენციო ოლქში არაქალაქიკრიკაული თანხის შემოგანის მხარდაჭერა აღიკვეთა

საბაჟო გამშვებ პუნქტებში „თბილისის აეროპორტი“ და „სარფი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეზაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა ჯამში: 185.200 აშშ დოლარი და 311.698 ლარი გამოავლინეს. არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცემითი კურსის მიხედვით 476.836,35 ლარი შეადგინა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევი მოქალაქეები სანქციის სახით, ჯამში, 13.000 ლარით დაჯარიმდნენ, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით ჯარიმა, 30.904,8 ლარი (თანხის 10%-ის ოდენობა) შეეფარდა.

„სალომე ზურაბიშვილი თავს გვაგადაღლის“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მასთან ერთად პოლიტიკაში დარჩენა არ ისურვებ?

– სალომე პოლიტიკურად რამდენად გამჭრიახია, მაგას არ შევფასებ. ვფიქრობ, „ქართული ოცნების“ სტიგმატიზაცია ე.წ. ოპოზიციურმა სექტორმა მოახდინა, რაშიც გადამწყვეტი როლი ტელევიზიებმა ითამაშეს, რადგან როგორც იტყვიან, თვალი ჭამს და თვალი სვამს. მოსახლეობა იმ ტელევიზიებს უყურებს და, სამწუხაროდ, მათი გავლენის ქვეშაა.

მოსახლეობის საკმაო რაოდენობა მათი გავლენის ქვეშაა. სალომემ ჩათვალა, რომ დროა თავისი ახალი არჩევანი გააკეთოს. ეს არის ჩემი სუბიექტური აზრი. არავისთან არ მიმსჯელია, მაგრამ ასე მგონია.

ეს არის მისი პოლიტიკური გათვლა. მას ურჩევნია, პოლიტიკური კურსის ცვლადობასთან დაკავშირებით ატეხილ საყოველთაო ხმაურის ფონზე, მათი პოზიცია დაიჭიროს, ვინც ატეხა ქარიშხალი, რომელიც, რეალურად, არის ქარიშხალი ჭიქაში.

– როდესაც გრიგოლ ვაშაძის საპრინციპული სალომე ზურაბიშვილის ირჩევდნენ, მაშინ ფიქრობდნენ, საქართველოს მიერ ევროპაში თუ არა, საფრანგეთთან მინც ექნებოდა მოგვარებული საქმე. თუმცა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისას (თუ არ ვცდები, საფრანგეთი თავმჯდომარე ქვეყანა იყო), პრეზიდენტმა მაკრონმა გეოგრაფია მოიმიზეზა და კანდიდატის სტატუსი არ მოგვანიჭა. საქართველოს პრეზიდენტმა საფრანგეთის პრეზიდენტთან არ იმუშავა? ასეთი პასუხი რატომ მივიღეთ?

– იმდებოდა იყო, რომ მისი მხრიდან მეტი ქმედითი ჩართულობა იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სალომე ზურაბიშვილი რა პოლიტიკური დივიდენდი ჰქონდა, პრეზიდენტი ყოფილიყო. ერთადერთი ფაქტორი, მისი ევროპელობა იყო. ასევე, ქალბატონი რომ არის.

– სალომე ზურაბიშვილი წარმატებული დიპლომატი იყო. საფრანგეთის დიპლომატიურ სამსახურში წარმატებას მიაღწია. ენცე აღსანიშნავია.

– სალომე ზურაბიშვილის პიროვნებაში სამი რამ იყო მნიშვნელოვანი – ევროპელობა, დიპლომატობა და ქალბატონი რომ არის – რაც ევროპელების თვალში პოზიტიური გზავნილია. ვფიქრობ, სალომემ თავიდანვე არ დაიჭირა სწორი პოზიცია.

– რას გულისხმობთ?

– ის მალევე გაემიჯნა „ოცნების“ პოზიციას, რაც საწყენია. თვითონ ასე ჩათვალა საჭიროდ. მასზე ზეგავლენის მოხდენა არავის უცდია.

– „ქართული ოცნების“ რა პოზიციას გაემიჯნა?

– იმას გაემიჯნა, რომ სალომე ზურაბიშვილს არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, ოპოზიციის შემოგდებულ სტიგმატიზაციას აპყლოდა, თითქოს „ქართული ოცნება“ ევროპისკენ არ მიდის. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისას, სუფთა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეს. წინააღმდეგ შემთხვევაში (უკრაინისათვის თავი დაეანებოთ), მოლოდინი (არც უკრაინა) ჩვენზე არც ერთ კომპონენტში წინ არ არის. უფრო მეტიც, საერთაშორისო რეიტინგებით, ჩვენ ბევრად წინ ვართ.

რაც მთავარია, მოლოდინი დღემდე დსთ-ის წევრი ქვეყანაა, რაც აბსოლუტურად წარმოუდგენელი მოცემულობაა. ცოტა ხნის წინ, მოლოდინი რუსული გაზის მიწოდებაზე კონტრაქტი გაახანგრძლივა. უკრაინა კი, ევროპისთვის თავის ტერიტორიაზე, ტრანზიტით, რუსულ გაზს ატარებს. ანალოგიური რამ საქართველოში რომ ხდებოდეს, წარმოგედგინათ, რას „დაგვიპართებს“ ჩვენი ზოგიერთი ევროპელი „პარტნიორი“?

იმ ფონზე, როდესაც რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა გახდა და ამას მთელი მსოფლიოს

ცივილიზებული საზოგადოება წინ ვერ აღუდგა, ჩვენ აქ „რალაც“ პოზიციებს გვიწუნებენ, აქ მიკერძოების მაღალი ხარისხია, რაც მოსაწონი არ არის, მაგრამ დრო ყველაფერს გამოაჩენს და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

იმედ მაქვს, 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, წინასწარი განხილვები დაწყებულია.

– ზოგი ამბობს, რეკომენდაციებს ბუტაფორიულად ასრულებენო.

– ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები ისეთ განცხადებებს აკეთებენ, ან სერიოზულ პოლიტიკასთან შეხება არ აქვთ, ან შეგნებული მავნებლები არიან. პარლამენტში ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენელს უთხრა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს რომ არ მოგანიჭებენ, წარმოგედგინათ, ამ ქვეყანაში მოვლენები როგორ უნდა განვითარდესო, ანუ იმას კი არ ამბობენ, რომ არ მოგვანიჭონო, არამედ ამერიკის დარაზმული არიან ნეგატიური გადაწყვეტის კონტექსტში. ისინი დროს არ კარგავენ.

რამდენიმე ადამიანი დაირაზმა, კერძოდ, ვაშაძე-ხოშტარია-ჯავახიძის ტრიო ევროპისთვის იმის სათქმელად წავიდა, საქართველო კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებს და საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ უნდა მიანიჭონ, რადგან ამას ქართველი ხალხი იმსახურებს, ხელისუფლება კი არაო, ეს არის აბსოლუტურად წარმოუდგენელი ნარატივი, რასაც მსოფლიო პოლიტიკა არ იცნობს.

ხელისუფლება, რომელიც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არის არჩეული, კანდიდატის სტატუსს არ იმსახურებსო. მოსახლეობა იმსახურებს, მაგრამ ხელისუფლება არაო, რაც ანომალიური მოვლენაა. ეს ადამიანები ანომალიების ტირაჟირებით არიან დაკავებული. რაც ჩვენი რეალობისთვის ძალიან სამწუხაროა.

დიდ დილომში 12 წლის გოგონას გარდაცვალების ადგილი აღმოჩნდა

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებები საქართველო“ დიდ დილომში გარდაცვლილი 12 წლის გოგონას საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს...

შოთა თუთუაძე: „დასვის მხარე გამოიყენებს ყველა მეთოდს, რომ მიხვილ სააკაშვილის უღლები მაქსიმალურად დასული იყოს“



დაცვის მხარე გამოიყენებს ყველა მეთოდს, მათ შორის საერთაშორისო მექანიზმებს იმისთვის, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებები მაქსიმალურად დასული იყოს...

დაცვის მხარე გამოიყენებს ყველა მეთოდს, მათ შორის საერთაშორისო მექანიზმებს იმისთვის, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფის უფლებები მაქსიმალურად დასული იყოს...



მშობლების განმარტებით, არსებობს არაერთი ვერსიონი, რომელიც მიუთითებს, რომ მოზარდის გარდაცვალების მიზეზი უბედური შემთხვევა ვერ იქნებოდა...

სასამართლომ ბადრი ესებუას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ „საქართველოს ბანკის“ დაყარვაში ბრალდებული ბადრი ესებუა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარების მუხლით წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო...



მოსამართლემ ბადრი ესებუას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დაცვის მხარე ბრალდებულის მიერ ფაქტის გულწრფელი აღიარებიდან გამომდინარე სასჯელის მინიმუმის გამოტანას მოითხოვდა...

გულწრფელობა არ ნიშნავს, აღიარო ფაქტი, რომ იარაღი მას ჰქონდა. აქ საუბარია იარაღის წარმოშობაზე, მოგესხნებათ, რომ იარაღი არის უკანონოდ შექმნილი. გამოძიება მიმდინარეობს ამ იარაღის გასაღების ფაქტთან დაკავშირებით...

საყურადღებოა, რომ დღემდე, საგამოძიებო უწყების მიერ გარდაცვლილი არასრულწლოვანის ოჯახის წევრის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა არ მომხდარა.

დანაშაულის ადგილზე მისულ დედას და „უფლებები საქართველო“ ადვოკატებს, დანაშაულის ადგილი სრულიად სახეცვლილი დახვდათ. არსებული ინფორმაციით, საგამოძიებო უწყებისგან თანხმობის მიღების შემდეგ, დანაშაულის ადგილზე თბილისის მერიის ადგილობრივმა გამაგებამ კეთილმოწყობის სამუშაოები დაიწყო...

5 აპრილს „უფლებები საქართველო“ იურისტებმა მიმართეს პროკურატურას დაზარალებულის უფლებამონაცვლედ დედის ცნობისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების თაობაზე ინფორმაციის მინოდების მოთხოვნებით. ამასთან, დღეს დანაშაულის ადგილზე განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, შეწყდეს იმგვარი ქმედებები, რამაც შესაძლოა კიდევ უფრო მეტად დააზიანოს დანაშაულის სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება.

„უფლებები საქართველო“ ამ საქმეს USAID-ის სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით აწარმოებს.

ლევიან რატიანმა სასამართლო წააგო

ლევიან რატიანმა სასამართლო წააგო, ამის შესახებ ცნობას პროფკავშირები ავრცელებს. ექთნის გამარჯვება სააპელაციო სასამართლოშიც ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!...

მძარცველებმა დებოზიტურ სანყოფინს მანქანის ფსკერით შეაღწიეს და მსხვილი თანხა გაიტაცეს




ბრიტანეთის საგრაფო ბერკშირში მძარცველების ჯგუფმა დებოზიტურ სანყოფინს სატვირთო მანქანის ფსკერის გამოყენებით შეაღწია და ძალიან დიდი თანხა გაიტაცა.

